

**შპს "ტაქსის სერვისი" (ს/კ 405046793)
განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1) შპს ტაქსის სერვისი "(ს/კ 405046793) საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს "ტაქსის სერვისი" (ს/კ 405046793) დაარსდა 06/06/2014 წელს, ,მარეგისტრირებული ორგანო თბილისის საგადასახადო ინსპექცია ვაკე საბურთალოს რაიონი.
 - 2) რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ.13ბ.25
 - 3) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 2022 წელს 19 ადამიანს. 2021 წელს- 19 ადამიანს
 - 4) კომპანიის დამფუძნებლები:
 - 01024012861 ნიკოლოზ ხოფერია (საქართველო) 100%
 - კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების თხევადი გაზის რეალიზაცია. კომპანიის დირექტორი: 01024012861 ნიკოლოზ ხოფერია (საქართველო)
 - საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.
- საქმიანობის უწყვეტობა:
- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

• მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

საზოგადოების მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

- **ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

ძირითადად კომპანიაში ოპერაციები წარმოებს როგორც ნაღდი ფულით ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში ლარი	19565	2057
ფული საბანკო ანგარიშებზე	148225	157205
სულ	167790	159262

სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება ფიფო მეთოდით;

	31.12.2022	31.12.2021
სარეალიზაციო საქონლის მარაგი	32541	34220

- საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად; კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 87048 ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით. ცვეთა 2022 წელს დარიცხულია 11935 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით.

არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება

კომპანიას გააჩნია როგორც დამფუძნებელთა მიმართ დავალიანება (აღებულია სესხები) ასევე საბანკო ვალდებულებები როგორც ეროვნულ ვალუტაში ასევე უცხოურ ვალუტაში, სესხების ძირითადი ნაწილი დაფარულია 2021 წელს

საანგარიშგებო თარიღისათვის დარიცხული გადასახდელი % აღრიცხულია არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

ვალდებულებები		
	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	205691	253013
სულ ვალდებულებები	205691	253013

• მოთხოვნები

მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება;
კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის რომ მისი მოთხოვნები გაუფასურებული არ არის და ბუღალტრულ ჩანაწერებში გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის .
მომწოდებლებთან გადახდილია წინსწრებით თანხები და გადარიცხვის შემდეგ ხდება საქონლის მოწოდება , რაც ასახულია ბუღალტრულ ჩანაწერებში

- **ხელფასი**

ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ. კომპანიას დაზღვეული ყავს თანამშრომლები რომელთა ხარჯსაც სწევს კომპანია

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

ხელფასის ხარჯი 2022 წელს შეადგენს 285100 ლარს დაზღვევა 8939 ლარს.

- **ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი**

წელი	2022	2021
მომსახურების ხარჯები	3233	98923
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	9520	19509
საკანცელარიო ხარჯი	480	7325
სამეურნეო ხარჯი	0	169761
კომუნიკაციის-ინტერნეტი	3506	34129
დაზღვევის ხარჯი	8939	9254
ელექტროენერგიის ხარჯი	10204	35351
საბანკო მომსახურების ხარჯი	1462	7475
სულ	37344	381727

ფინანსური მდგომარეობა ფორმა 1		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	167790	159262
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0
მარაგები	32541	34220
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	87048	73629
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	287379	267111
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	205691	253013
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	25000	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	230691	253013
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	56688	14098
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	56688	14098
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	287379	267111
სულ მოკლევადიანი აქტივები	167790	193482

საქმიანობის შედეგები ფორმა 2		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	5484858	9772507

საქონლის გაყიდვიდან	5484858	9772507
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-4968777	-8849117
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	516091	923390
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-285100	-304346
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-11935	-16837
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-139112	-239362
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-37344	-381727
სულ საოპერაციო ხარჯები	-473491	-942272
საოპერაციო მოგება	42590	-18882
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	42590	-18882
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	42590	-18882
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	42590	-18882
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14098	32980
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	56688	14098



ნ. ხოფერია
ზ. კიკნაძე

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.



Handwritten signature in blue ink, appearing to read 'ნ. მ. ხოშ' (N. M. Khosh).